

## ბალები

სხვადასხვა ელემენტთა უბადლო შერწყმა სილამაზის შესაქმნელად



იაპონური ბაღი  
(ფოტო AFLO-სგან)

### იაპონური ბაღების თავისებურებანი

ხეებსა და ჩირგვებთან ერთად იაპონური ბაღის მხატვრული გაფორმებისთვის გამოიყენება ქვის ლოდები, ქვიშა, ხელოვნური ბორცვები, წყალსატევები და პატარა ჩანჩქერები. დასავლური ტიპის ბაღისგან განსხვავებით, იაპონური ბაღი ტრადიციულად ქმნის ისეთ სცენურ კომპოზიციას, რაც წარმოადგენს ბუნების იმიტაციას და ცდილობს რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ ჩანდეს ამ ყველაფერში ხელოვნურობის ნასახივ კი.

ბაღის დიზაინერები გარკვეული ბუნების სცენების შექმნისას სამ ძირითად პრინციპს იცავენ, როგორცაა: შემცირებული მასშტაბი, სიმბოლიზაცია და „ნასესხები პეიზაჟები“. პირველი ითვალისწინებს მთებისა და მდინარეების ბუნებრივი ხედების მინიატურისა, რათა ერთად მოაქციონ ისინი მოცემულ შეზღუდულ სივრცეში; ამაში შეიძლება შედიოდეს იდეალიზირებული სოფლის პეიზაჟის შექმნა შუა ქალაქში. სიმბოლიზაცია საკუთარ თავში მოიცავს აბსტრაგირებას, მაგალითად, როცა თეთრი ქვიშის გამოყენება გულისხმობს იქვე ახლოს ზღვის არსებობას. „ნასესხები პეიზაჟის“ შემთხვევაში დიზაინერები ხელოვნური ბაღის უკანა

პლანზე არსებულ რეალურ ბუნებრივ ხედებს (მაგ.: მთები ან ოკეანე და ა.შ.) იყენებენ და ცდილობენ გადააქციონ ისინი მათი ხელოვნური სცენური კომპოზიციის განუყოფელ ნაწილად.

იაპონური ბალის ძირითადი აგებულების შთაგონების წყარო, ერთერთი სკოლის მიხედვით, არის კლდეები და კლდოვანი მთაგრები. ძველ დროში იაპონელებს სწამდათ, რომ კლდეებით გარშემორტყმული ადგილი ღმერთებით იყო დასახლებული და ამიტომაც მას ეძახდნენ: *ამაცუ-ივასაკას* (ღვთაებრივი ბარიერი) ან *ამაცუ ივაკურას* (ღვთაებრივი სამყოფელი). შესაბამისად, ხეთა ხშირ ჯგუფს უწოდებდნენ *ჰიმოროგის* (ღვთაებრივი ზღუდე) და მათ ირგვლივ შემოვლებულ თხრილებსა და ნაკადულებს *მიძუგაკის* (წყლის ღობეები).

იაპონური ბალების კლასიფიცირება შეიძლება ორ ტიპად: *ცუკიამა* (გორაკებიანი ბალი), რომელიც შედგება გორაკებისა და წყალსატევებისგან და *ჰირანივა* (დაბლობიანი ბალი), რომელიც მოიცავს ვაკე ტერიტორიას, გორაკების, ბორცვებისა და ტბების გარეშე. თავდაპირველად გორაკებიან სტილს ირჩევდნენ დიდი სახლების მთავარი ბალისთვის და დაბლობიან სტილს - შეზღუდული სივრცეებისთვის. მაგრამ უკანასკნელი უფრო პოპულარული გახდა მოგვიანებით, ჩაის ცერემონიისა და ჩაის ცერემონიის ოთახის, *ჩაშიცუს* შემოღების შემდეგ.

### ძველი დროის ბალები

ყველაზე ადრეულ დროს ცნობილი ბალები გვხვდება ასუკასა (593-710 წწ) და ნარას (719-794 წწ) ეპოქებში. იამატოს რაიონში (ამჟამად ნარას პრეფექტურა) სამეფო და გავლენიანი გვარების ოჯახთა ბალების დიზაინერები ქმნიდნენ ოკეანის სცენების იმიტაციას, რომელიც წაგავდა „სანაპირო ზოლებით“ გარემოცულ ერთგვარ ვრცელ წყლის აუზებს კუნძულებით. ეს სწორედ მაშინ იყო, როდესაც კონტინენტიდან ბუდიზმი პირველად შემოვიდა იაპონიაში კორეის ნახევარკუნძულის გავლით. შესაბამისად, იქაურმა ემიგრანტებმა გაამდიდრეს იაპონური ბალების დიზაინი კონტინენტური გავლენით, როგორცაა ქვის ფანტანებისა და ჩინური წარმოშობის ხიდების დამატება ბალების დიზაინში.

### შინდენ-ძუკურის სტილის ბალები

794 წელს იაპონიის სახელმწიფოს დედაქალაქი ნარადან კიოტოში გადაიტანეს და დადგა ჰეიანის პერიოდი (794-1185). როგორც კი ფუჯივარას კეთილშობილთა საგვარეულომ გაიმყარა თავისი პოზიციები ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაგდებით, განვითარდა არისტოკრატიული, მშობლიური იდეებით შთაგონებული ხელოვნება და კულტურა. ეს არისტოკრატიები ცხოვრობდნენ დიდებულ სასახლეებში, რომელიც *შინდენ-ძუკურის* სტილით იყო ნაგები. ამ ხანის ბალები საოცარი სანახაობას წარმოადგენს თავისი სილამაზით.

კოტოში რამდენიმე მდინარე უერთდება ერთმანეთს. ამის გამო გაიყვანეს არხები, რათა წყალი მიეწოდებინათ ქალაქის სხვადასხვა რაიონებისთვის. ზაფხულობით კოტო ძალიან ცხელი და ნესტიანი იყო, ამიტომ ხალხმა ამჯობინა გუბურებისა და ჩანჩქერების გაკეთება, რათა შეენარჩუნებინათ სიგრილის შეგრძნება. გაიყვანეს ხელოვნური ნაკადულები - *იარიმიძუ*, რომელიც მიედინება სახლებს შორის და სასახლეების ბაღებში. ასევე, *ფუნა-ასობის* (სასეირნო ნავის) სტილის, ხშირად ოვალისებური ფორმის წყალსატევებში, იყო საკმაო სივრცე ნაოსნობისა და მოსახერხებელი თევზჭერისთვის. ამ უკანასკნელისთვის აგებდნენ პავილიონებს, რომელიც წამომართული იყო წყალზე და დახურული კორიდორებით უკავშირდებოდა სასახლეთა სხვა ნაგებობებს. ძირითად შენობასა და წყალსატევს შორის იყო თეთრი ქვიშით დაფარული ვრცელი ტერიტორია, ოფიციალური ცერემონიების ჩასატარებლად განკუთვნილი თვალწარმტაცი ადგილი.

ბაღის სხვა სტილი, ე. წ. *შუიუ* (გასეირნება) სტილი შედგებოდა სასეირნო ბილიკისგან, რაც გათვალისწინებული იყო მოსეირნეთათვის, რომ მოხერხებულად გადაადგილებულიყვნენ ბაღის ერთი ნაწილიდან მეორეში და დამტკბარიყვნენ მისი განსხვავებული ხედვებით. ასეთ ბაღებს ძირითადად ვხვდებით ჰეიანის, კამაკურასა და მურომაჩის ეპოქათა ტაძრებსა და დიდ სასახლეებში. კოტოში საიპოჯის ტაძრის ბაღი, რომელიც გაშენებულ იქნა მურომაჩის პერიოდში, ქურუმი მოსო სოსეკის მიერ, ცნობილია, როგორც ტიპიური „სასეირნო“ ბაღი. ეს უკანასკნელი ისეა გაკეთებული, რომ წყალსატევი ბუნებრივად ერთვის მის უკანა ფონზე მდგარ მთას.

### ჯოდოს სტილის ბაღები

X საუკუნეში იაპონიის არისტოკრატია დიდი ერთგულებით მისდევდა ბუდიზმის წეს-ჩვეულებებს. მას შემდეგ, რაც სამოთხის ანუ ჯოდოს (წმინდა მიწა) შესახებ წარმოადგენა გავრცელდა, ბაღის მოდელიც ჯოდოს წარმოსახვით იქმნებოდა ისე, როგორც ეს მოცემული იყო საღმრთო წიგნსა და რელიგიურ ტრაქტატებში. თავის მხრივ, ეს წარმოადგენდა ყველაზე ძველი იაპონური ბაღის მოტივების კრისტალიზაციას. ამ ტიპის ბაღებისთვის უშუალოდ დამახასიათებელია წყალსატევი თაღოვანი ხიდით, რომელიც აღწევს ცენტრალურ კუნძულამდე. ბიოდოინის ტაძრის ბაღი, რომელიც მდებარეობს უჯიში, კოტოსთან ახლოს, არის ჯოდო სტილის ბაღის თვალსაჩინო ნიმუში. ეს ტაძარი იყო იმ დროის გავლენიანი კაცის, ფუჯივარა ნო მიჩინაგას სააგარაკო სახლი. იმის გამო, რომ ელიტის წევრები დიდ ინტერესს იჩენდნენ ბაღების მიმართ, ამ უკანასკნელის შესახებ ბევრი ბრწყინვალე კრიტიკული ნაშრომი შეიქმნა. მათგან ყველაზე ძველია *საკუტეიკი* (ტრაქტატი ბაღების შექმნის შესახებ), რომელიც ეკუთვნის ტაჩიბანა ნო ტომიცუნას (1028-1094).

**ძენ სექტის ბაღები**



**რიოანჯი (კიოტო)**

სადღესასწაულო ძენ სტილის ტაძარის მწირი ლანდშაფტის მქონე ბაღი, გარშემორტყმულია დაბალი კედლით სამი მხრიდან და შედგება მხოლოდ სხადასხვა ზომის მქონე 15 უცნაური ფორმის ქვისგან, რომელიც ალაგ-ალაგაა განლაგებული თეთრი კენჭებით მოპირკეთებულ ფარდაგზე (Ryoanji-ს ფოტოებიდან).

კამაკურას პერიოდმა (1185-1333), რომელიც მოჰყვა ჰეიანის პერიოდს, მოიტანა სამხედრო კლასის აღზევება და ჩინელი ძენ სამღვდელოების გავლენა, რასაც ასევე მოჰყვა ცვლილებები საცხოვრებელი შენობებისა და ბაღების სტილშიც. ბრწყინვალე ცერემონიების გამართვა საკუთარ ბაღებში არ იყო სამხედრო ელიტისთვის დამახასიათებელი. ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ შინიდან ბაღით ტკბობას და ბაღების დიზაინიც ისე იყო გადაწყვეტილი, რომ ვიზუალურად მიმზიდველი ყოფილიყო. ამ პერიოდში, წინა პლანზე წამოიწიეს დიზაინერმა სასულიერო პირებმა ანუ ე. წ. *იშიტატესომ*, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც ქვის დამღები ბერები.

ამბობენ, რომ იაპონური ბაღების ოქროს ხანა განეკუთვნება მურომაჩის პერიოდს (1333 - 1568). დაოსტატებული ხელოვნების ჯგუფები, რომელთაც ერქვათ *სენძუი კავარამონო* (მთის, ნაკადულისა და მდინარის კალაპოტის ხალხი) იყვნენ პასუხისმგებელი აეგოთ ახალი სტილის ბაღები, რომელიც ცნობილია სახელწოდებით *კარესანსუი* (მშრალი მთის ნაკადული). ძენ ბუდიზმის დიდი გავლენის მქონე ამ ბაღებს ახასიათებს აბსტრაგირება. მაგალითად, ქვათა ჯგუფები ნიშნავს მთებს ან წყლის ჩანჩქერებს; თეთრი ქვიშა გამოყენებულია მდინარის წყლის სანაცვლოდ. ამ ფორმის ბაღები, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სხვაგან არ გვხვდება, შესაძლოა მოექცეს ჩინური მეღვინეობის ნახატი პეიზაჟების გავლენის ქვეშ, სადაც გამოსახულია ერთფეროვანი მთები და დამშრალი მდინარის კალაპოტები. ამის მაგალითებად გამოდგება კიოტოს რიოანჯი და დაიტოკუჯი ტაძრების კლდოვანი ბაღები. მათგან პირველი შექმნილია 15 კლდისაგან და თეთრი ქვიშისგან სწორ ვაკე ნიადაგზე, რაც ასევე არის ვაკე ნიადაგიანი ბაღის ნიმუშიც.

ამასთან, ამ პერიოდის ბაღებზე დიდი ზეგავლენა იქონია *შოინ-ძუკური* სტილის არქიტექტურამ, რაც მოიცავდა *ტოკონომას* (*ფანჩატური*), *ჩიგაიდანასა* (ზიგზაგით დაწყობილი თაროები) და *ფუსუმას* (ქაღალდის გასაცურებელი კარები) და დღემდე რჩება დღევანდელი ტრადიციული ტიპის იაპონური სახლების პროტოტიპად. ამ *კანშიო* ან *ძაკან* (მედიტაცია) სტილში, მაყურებელი დგას *შოინში*, *შოინ-ძუკურის* სტილის შენობის ოთახში და ხედის კომპოზიცია ისეთია, რომ წააგავს დახვეწილ სურათს, რომელიც მოითხოვს გულმოდგინე და ხანგრძლივ დაკვირვებას.

## ჩაის ბაღი

სენ ნო რიკიუს ცნობით (1522-1591) ჩაის ბაღმა, რომელიც გაჟღენთილია საკმაო სულიერებით, განვითარება ჰპოვა ჩაის ცერემონიის მხარდამხარ. მხოლოდ ჩაის ბაღის გავლით იყო შესაძლებელი ჩაის სახლში მისვლა. ეს ბაღი მოკლებული იყო ხელოვნურობას და მეტწილად ინარჩუნებდა ბუნებრივ იერსახეს. დღევანდელი იაპონური ბაღი თავის თავში აერთიანებს ჩაის ბაღის გარკვეულ ელემენტებს, როგორცაა საფეხურებად დალაგებული ქვები, ქვის ნათურები, ხეთა ჯგუფები და მარტივი დიზაინის ღია ბელვედერები, სადაც სტუმრებს ჩაით უმასპინძლებიან.

## კაიუს სტილის ბაღები



კენროკუენი იშიკავას პრეფექტურაში  
(ფოტო AFLO-სგან)

საუკუნეების მანძილზე შექმნილი სხვადასხვაგვარი ბაღის ფორმების სინთეზი მოხდა ედოს პერიოდში (1603-1868) *კაიუს* (ზევრი სიამოვნება) ბაღებში, რომელიც უშუალოდ ფეოდალი მბრძანებლებისთვის შენდებოდა. ასეთი ბაღის გაშენებისთვის გამოიყენებოდა ჩინებული ქვები და ხეები, რათა შეექმნათ ცნობილი პეიზაჟების მინიატურული რეპროდუქციები. ხალხი მისიერნობდა ერთი პატარა ბაღიდან მეორეში და მათ შუაგულში განლაგებული წყალსატევების ცქერით ტკბებოდა. *კაიუს* სტილის ბაღის თვალსაჩინო ნიმუშს

წარმოადგენს კაცურას განმარტოებული სასახლის ბაღი კიოტოში, რომელსაც შუაგულში აქვს ჩაის სახლებით გარშემორტყმული წყალსატევი და შექმნილია ადრეულ ედოს პერიოდში. გერმანელი არქიტექტორის, ბრუნო ტაუტის ნაწერების მეშვეობით ეს ბაღი ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. მეორე ყველაზე ცნობილი ბაღი კიოტოში არის კიოტოს იმპერიალური სასახლის ბაღი სახელწოდებით *ოიკენივა*, რაც „წყალსატევის ბაღს“ ნიშნავს. ეს ბაღი აგებულია XVII საუკუნეში. აქ ბაღის წყალსატევი, რომელიც დაფარულია ნაძვებით შემოსილი რამდენიმე პატარა კუნძულით, იკავებს ბაღის უდიდეს ნაწილს.

კორაკუენის ბაღი, რომელიც გაშენდა 1626 წელს არის ერთერთი ყველაზე მომაჯადოვებელი *კაიუს* სტილის ბაღებიდან ტოკიოში. ამ ბაღის ხელოვნური ტბის ერთადერთ პატარა კუნძულზე დგას *ბენძაიტენისადმი* (წარმოშობით ინდური ღვთაება, ცნობილია, როგორც შვიდიდან ერთერთი იღბლის მომტანი ღვთაება) მიძღვნილი პატარა ტაძარი. ამავე კუნძულის ხიდს უწოდებენ სავსე მთვარის ხიდს, მისი ნახევარწრის ფორმის გამო, რომლის წყალში ანარეკლი

იღებს მთვარის მსგავს წრისებურ ფორმას. ჰამა, განმარტოვებული სასახლის ბაღი, ასევე ერთერთია ტოკიოს ცნობილი *კაიუს* სტილის ბაღებიდან. ედოს პერიოდის ამ ბაღის ყველაზე სახელგანთქმული ხედი არის ზღვის მიმოქცევასთან დაკავშირებული წყალსატევი, რომელიც დაკავშირებულია ბაღის სხვა ადგილებთან სამი ხიდით. თითოეული ხიდი დაფარულია ვაზის მწკრივებით, რომელთაც მივყავართ პატარა კუნძულებამდე. წყალსატევების, გაზონებისა და საცხენოსნო მოედნების განლაგება ამ ბაღში ქმნის ედოს პერიოდის ფეოდალი მბრძანებელის ვილის ატმოსფეროს.

ბაღების იგივე სტილით ხასიათდება იაპონიის ულამაზეს პეიზაჟებიანი სამი ბაღიც: კაირაკუენი მიტოში (იბარაკის პრეფექტურა); კენროკუენი კანაძავაში (იშიკავას პრეფექტურა) და კორაკუენი ოკაიამაში (ოკაიამას პრეფექტურა).

მეიჯის პერიოდის (1868-1912) დასაწყისში დასავლეთის გავლენა უკვე ვრცელდებოდა იპონური ბაღების დიზაინზეც, როგორცაა დიდი სივრცეების გაერთიანება ხშირი გაზონებით. ამის კარგ მაგალითად გამოდგება ტოკიოს შინჯუკუ გიონის ეროვნული ბაღი.